

675-75
1996

საქართველოს
აкадеმიის
განმარტება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN
ACADEMY OF SCIENCES
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

აქონოლოგიის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
VOLUME
TOM 4
1996 N 1-2

✓
60

თბილისი • TBILISI • ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია

ვ. პაპავა (მთავარი რედაქტორი), გ. ადეიშვილი, ვ. ადვაძე, თ. ბერიძე (სწავლული მდივანი), ზ. გიორგაძე, ა. გუნია, ა. კურატაშვილი, რ. მითაიშვილი, ი. მესხია, ნ. პაიჭაძე, ა. სილაგაძე, ვ. ჩანტლაძე, თ. ჩიკვაძე, ლ. ჩიქავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ბ. ხასია, მ. ჭიბუჭი

პასუხისმგებელი მდივანი ი. დემირხანოვა

EDITORIAL BOARD

V.Papava (Editor-in-Chief), V.Advazde, G.Adeishvili, T.Beridze (Scientific Secretary), V.Chantladze, L.Chikava, T.Chikvaizde, M.Djibouti, H.Giorgadze, A.Gunia, B.Khasia, A.Kuratashvili, Y.Meskha, R.Mitaishvili, N.Paichadze, A.Silagadze, G.Tsereteli (Deputy Editor-in-Chief)

Executive Secretary I.Demirkhanova

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В.Г.Папавა (главный редактор), В.С.Адвадзе, Г.Г.Адеишвили, Т.А.Беридзе (ученый секретарь), Г.Г.Гиоргадзе, А.Л.Гунья, М.Ч.Джибути, А.А.Кураташвили, Я.Е.Месхия, Р.Л.Митаишвили, Н.Н.Пайчадзе, А.Н.Силагáдзе, Б.А.Хасиа, Г.Ш.Церетели (зам. главного редактора), В.Г.Чантладзе, Л.Л.Чикава, Т.Н.Чикваидзе

Ответственный секретарь И.С.Демирханова

P.Gugushvili Institute
of Economics, The Georgian
Academy of Sciences,
14, Kikodze street,
Tbilisi, 380007,
Republic of Georgia
tel:(8832)99-68-53,(8832)99-07-02
Fax: (8832)998-389

Республика Грузия
380007, Тбилиси,
ул.Кикадзе, 14
Институт Экономики
им.П. Гугушвили АН Грузии
тел: (8832)99-68-53,(8832)99-07-02
факс: (8832)998-389

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN
ACADEMY OF SCIENCES
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 4, N 1-2
VOLUME 4, N 1-2
ТОМ 4, N 1-2

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
The journal is established in October, 1992
Журнал основан в октябре 1992 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
The journal is published 4 times a year
Выходит 4 раза в год

თბილისი "მეცნიერება"
TBILISI "METSNIEREBA"
ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕБА"

1996

შინაარსი

ვ. ბურდული სამრეწველო პოლიტიკა: რეალიზების ინსტიტუციური უზრუნველყოფა და ეკონომიკური მექანიზმი	3
ს. ფორტესკიუ რუსეთის სამრეწველო პოლიტიკის ინსტიტუტები	17
ი. ანანიაშვილი აგრეგირების პრობლემა და სრული დანახარების კოეფიციენტები ანგარიშებით დარგთაშორის ბალანსში.	30
მ. მაქსოევი საქართველოში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სისტემის შესახებ წესები. ავტორთათვის	45
	59

CONTENTS

V. Burduli The Industrial Policy: Institutional Security and Economic Mechanism 3	
S. Fortescue The Industrial Policy Institutions of the Russian Government	17
Iu. Ananiashvili The Problem of Aggregation and the Total Expenditure Koefficients with an Account in the Intersectoral Balance	30
M. Macsoev The System of Small Business Supporting in Georgia	45
Instruction to Authors	59

СОДЕРЖАНИЕ

В. Бурдули Институциональное обеспечение и экономический механизм промышленной политики	3
С. Фортестью Институты промышленной политики России	17
Ю. Ананиашвили Проблема агрегирования и коэффициенты полных затрат в отчетном межотраслевом балансе	30
М. Максоев О системе поддержки малого бизнеса в Грузии	45
Правила для авторов	59



სამრეწველო პოლიტიკა: რეალიზების ინსტიტუციური უზრუნველყოფა და ეკონომიკური მუქანის შიშები

ვ. ბურდული

თბილისი, 380007, ქიქოძის ქ. 14

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი

შემოვიდა: 1996 წლის 15 იანვარს

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სამრეწველო პოლიტიკის ინსტიტუციური უზრუნველყოფის და რეგულირების ეკონომიკური მუქანის შიშების შექმნის საკითხები. ნაჩვენებია, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მანძილზე პირობებში სამრეწველო პოლიტიკის რეგულირება დაფუძნებული უნდა იყოს ბაზარზე ორიენტირებულ საფინანსო სისტემაზე, სადაც სტრუქტურული გარდაქმნისათვის საჭირო ინვესტიციების გენერირება ძირითადად ხდება მსხვილი საბანკო სტრუქტურების გამოყენებით, საგადასახადო, საფინანსო-საკრედიტო და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით კაპიტალის ფასის რეგულირების პირობებში. შესწავლილია ამისათვის საჭირო საბაზრო ინსტიტუტების შექმნის, შესაბამისი კანონებისა და საკანონმდებლო აქტების მიღების, სახელმწიფო და საბაზრო რეგულირების სისტემებში სხვა ღონისძიებების განხორციელების საკითხები. ნაშრომში აგრეთვე, მოცემულია სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზნების სისტემა და იმ ინსტრუმენტების ნუსხა, რომელთა საშუალებით ხდება ამ მიზნების რეალიზების მართვა. შემოთავაზებულია მარეგულირებელი ინსტრუმენტების კონკრეტული მახასიათებლები და შემოქმედების მიმართულებები, რაც ამჟამად და უახლოეს მომავალში საჭიროა საქართველოს მრეწველობის გაჯანსაღებისა და განვითარების მიზნით.

20813

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, მრეწველობის სწორი და შედეგიანი განვითარება შეუძლებელია სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბების გარეშე. განვითარებულ ქვეყნებშიც აწყდებიან მრავალ სირთულეებს მრეწველობაში. ბოლო პერიოდში სიძნელებებს (პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაქვეითება, პრობლემები პროდუქციის რეალიზებაში) წააწყდნენ ინდუსტრიის ისეთი ტრადიციული დარგები, როგორცაა ფოლადსახმელო და საავტომობილო მრეწველობა, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და რადიოელექტრონიკის წარმოება [1, გვ. 71]. ამ სირთულეების გადალახვას ხელს უწყობს რიგი ინსტიტუციური, სტრუქტურული და სხვა ღონისძიებების გატარება, რომელთა ერთიანობა წარმოადგენს ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკას. შეუძლებელი იქნებოდა იაპონიის, სამხრეთ კორეის, აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების წარმატებითი განვითარება და მსოფლიო ბაზრის მრავალ სეგმენტში გარდევნა მიზანმიმართული სამრეწველო პოლიტიკის გატარების გარეშე. ამდენად, ქვეყანაში აუცილებლად უნდა შემუშავდეს გონივრული სამრეწველო პოლიტიკა და ჩამოყალიბდეს მისი რეალიზებისათვის საჭირო ეკონომიკური მუქანის შიშები.

ფართო, გაგებით სამრეწველო პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსს, რომელიც მოქმედებს ეროვნული ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა დონეზე და უზრუნველყოფს მრეწველობის საბაზრო ორგანიზაციის სრულყოფას (დარგობრივი სტრუქტურული მრეწველობის განვითარების მიზნით).

საქართველოს ეკონომიკის
ინსტიტუტი
თბილისი

წარმოების განლაგება, ინვესტიციური აქტიურობისა და სამრეწველო საქმიანობის რეგულაცია და სტიმულირება, სამრეწველო. ჯგუფების ფორმირება, საშუალო და მცირე ბიზნესის წინასწარგება; დარგებში კონკურენციის ოპტიმალური რეჟიმის დაცვა; ეროვნული ეკონომიკის საექსპორტო პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის სტიმულირება; მრეწველობის განვითარების, საბაზრო და სახელმწიფო კოორდინაციის ურთიერთშეხამებას [2, გვ. 133, 134].

სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია: სტრუქტურული გარდაქმნისათვის ინსტიტუციური ზომების განსაზღვრა და რეალიზება; სამრეწველო პოლიტიკის რეალიზების მარეგულირებელი მექანიზმის შექმნა და სრულყოფა; პრიორიტეტების განსაზღვრა, დასაბუთება და რეალიზების რეგულირება; არაეფექტური წარმოებების შეკვეცის მექანიზმის შექმნა.

სამრეწველო პოლიტიკის ფარგლებში მუშავდება დამიზნების პოლიტიკა, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო სავაჭრო კომისიის განსაზღვრებით წარმოადგენს კოორდინირებულ სახელმწიფო ღონისძიებებს, შერჩეულ დარგებში საწარმოო რესურსების მობილიზაციისათვის, რომლის მიზანია ეროვნული მეწარმეებისა და მცირე სახელმწიფო დახმარება მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა [2, გვ. 137].

1. სამრეწველო პოლიტიკის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა

არსებობს ბაზრის რეგულირების ორი უკიდურესი მოდელი, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნებში გააჩნიათ სხვადასხვა შეუღედური ვარიანტები [2, გვ. 134; 3, გვ. 23]. პირველი დაფუძნებულია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის ეკონომიკაში, რომელიც რამდენადაც მლიერდება, როდესაც გამოაშკარავდება საბაზრო ეკონომიკის ნაკლოვანებები. ამიტომ ამ მოდელს ჰქვია რეაქტიული (აშშ, დიდი ბრიტანეთი). მეორე დაფუძნებულია სახელმწიფოს პრევენტულ მოქმედებებზე, რომელიც ახდენს ბაზრის განსაზღვრული ნაკლოვანებების კომპენსირებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც საბაზრო მექანიზმი საკმაოდ ნორმალურად ფუნქციონირებს (პროაქტიული მოდელი). ამ მოდელის მოქმედებისას სახელმწიფოს ენიჭება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებაში და რეალიზებაში (გფრ, იაპონია და სხვ.).

უპირველეს ყოვლისა, ბაზრის ამა თუ იმ მოდელის არსებობა დამოკიდებულია საფინანსო სისტემის ორგანიზებაზე.

საკუთრების უფლებები, რომლებიც ჰპოვებენ ასახვას საფინანსო კონტრაქტებში (აქციები, ობლიგაციები, სხვა სასესო ვალდებულებები), მოიცავენ მათი გამოყენების ზღვრის, კონტროლის, შემოსავლის მიღებისა და საკუთრების უფლების გაყიდვის შესაძლებლობებს. საფინანსო კონტრაქტების განსაზღვრული კომბინირება ქმნის კორპორაციის კაპიტალის სტრუქტურას, რომელიც ასახავს სხვადასხვა საფინანსო კონტრაქტების შეფარდებას და მათ განაწილებას ინვესტორთა შორის, მათ შორის მეწარმეებს და გარე ინვესტორთა შორის [4, გვ. 68, 69]. კაპიტალის სტრუქტურის შესაბამისად შეიძლება გამოვყოთ საფინანსო სისტემის ორი ძირითადი ტიპი: საბაზრო ორიენტირებული და საბანკო ორიენტირებული.

საბაზრო ორიენტირებული საფინანსო სისტემის (აშშ, დიდი ბრიტანეთი) ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:

1. კაპიტალის ბაზრის განვითარების მაღალი დონე, სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტების ფართო ნაკრები. მოსახლეობა თავის დანაშაუგების ძირითად ნაწილს ან უშუალოდ წარმოებაში აბანდებს, ან აბანდებს წარმოებაში ინსტიტუციური ინვესტირების (არასაბანკო საფინანსო შუამავლების) სისტემის მეშვეობით. ბანკები ძირითადად აკმაყოფილებენ კორპორაციების მოთხოვნებს მოკლევადიან კრედიტებში და არ აკისრიათ არსებითი როლი კორპორაციების

გრძელვადიან დაკრედიტებაში. სამრეწველო კორპორაციები ზრდიან კაპიტალს ძირითადად აქციების ახალი ემისიების ხარჯზე:

2. კომერციული ბანკები მკაცრად შეზღუდულნი არიან დაბანდების პორტფელის ფორმირებაში და კორპორაციების კონტროლის შესაძლებლობებში.

3. ადგილი აქვს ფასიანი ქაღალდების ფლობის დიდ დაქაჩვულობას, რისკი ნაწილდება ინვესტორთა შორის დაბანდებითა ფართო დივერსიფიკაციით.

4. საკონტროლო ფუნქციების ნაწილი გადადის მმართველებთან (მენეჯერებთან), მაგრამ მიუხედავად ამისა, მმართველობის სისტემა, უპირველეს ყოვლისა, მისი უმაღლესი რგოლები, ფორმირდება და კონტროლდება აქციების მსხვილი მფლობელების ჯგუფის მიერ (მეთვალყურეთა საბჭო, გამგეობის წევრები, ღირებულებები) [5, გვ. 87].

5. ძირითადი მარეგულირებელი მექანიზმია "გარე ბაზარი", ანუ საფინანსო ბაზრის კონტროლი. ამა თუ იმ კორპორაციის მდგომარეობა კონტროლდება საფინანსო ბაზრით, მისი ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების შესაბამისად.

საბანკო ორიენტირებული საფინანსო სისტემის (კონტინენტური ევროპა, იაპონია) ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:

1. საფინანსო ბაზრის, უპირველეს ყოვლისა, სარისკო კაპიტალის, განვითარების დაბალი დონე, რაც ზღუდავს დაბანდებითა დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს. დანაზოგები ძირითადად ტრანსფორმირდება მოკლე და გრძელვადიანი კრედიტების ფორმაში კომერციული ბანკებისა და სხვა შემხანველო ინსტიტუტების საშუალებით.

2. საფინანსო კონტრაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია უშუალოდ ბანკებში, რომელთა საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია სამრეწველო კორპორაციების დაფინანსებაზე. კომერციულ ბანკებს არა აქვთ მკაცრი შეზღუდვები დაბანდების შერჩევაში (ბანკის პორტფელი) და კორპორაციების საქმიანობის კონტროლში.

3. ბანკები უზრუნველყოფენ კაპიტალის მასიურ მოზიდვას ეკონომიკის მწარმოებელ სფეროში: ან უშუალოდ კორპორაციებში მონაწილეობით (მათ შორის აქციების დამატებითი გამოშვებების შექმნით), ან დაფინანსების სპეციალური საზოგადოებების დაარსებით [4, გვ. 70].

4. ძირითად მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრების ეფექტურ გამოყენებას, საბაზრო ორიენტირებულ სისტემასთან განსხვავებით, წარმოადგენს მესაკუთრის კონტროლი (ეს არ გამოირიცხავს მენეჯერების მნიშვნელოვან როლს კორპორაციების მართვაში. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იაპონიაში, მათ აქვთ გაცილებით უფრო დიდი როლი, ვიდრე აშშ-ში, რამაც პოვა ასახვა შემოსავლების განაწილების სტრუქტურაშიც [5, გვ. 87, 88; 6, გვ. 140]).

5. რისკი და კონტროლი თავს ძირითადად იყრიან ბანკებში, რომლებიც წარმოადგენენ საფინანსო კონტრაქტების ძირითად მფლობელებს (მესაკუთრეებს). მაგრამ მესაკუთრეების და აქციონერების გავლენა კომპანიების საქმიანობაზე იზღუდება სახელმწიფოს მიერ სპეციალური ნორმატიული აქტებით (კანონმდებლობით) [1, გვ. 73], რაც შესაძლებელს ხდის ბაზრის პროაქტიული მოდელის არსებობას.

საფინანსო მოდელის განსხვავებული სისტემები განაპირობებენ დარგობრივ სტრუქტურაზე ზემოქმედების სხვადასხვა მექანიზმის არსებობას: ძირითადად საბაზრო, სადაც რესურსების განაწილების პროცესი განისაზღვრება საბაზრო ფასებით და კონკურენციით (აშშ, დიდი ბრიტანეთი); დაფუნდებული სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების აქტიურ გენერირებაზე მსხვილი საბანკო სტრუქტურების, საკრედიტო პოლიტიკისა და ეროვნულ მიზნებთან განსაზღვრული კაპიტალის ფასის რეგულირების გამოყენებით (იაპონია, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა). დაფუნდებუ-

ლი საფინანსო სისტემაში ინსტიტუციურ ურთიერთობებზე (ცენტრალური ვერობა, სკანდინავია) [2, გვ. 136].

საქართველოში ამჟამად აღებულია გზი საბანკო ორიენტირებულ საფინანსო სისტემაზე. ეს იქედან ჩანს, რომ მიღებულია რამდენიმე შესაბამისი კანონი (მაგალითად "მეწარმეთა შესახებ") ანალოგიურად იმისა, რაც არსებობს კონტინენტურ ევროპაში. ეს ორიენტაცია სავსებით მიზანშეწონილია, რადგანაც საბაზრო ორიენტირებული საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება ამჟამად წააწყდება რიგ სირთულეებს.

1. მოსახლეობის ხელში არაა კონცენტრირებული საკმაო რაოდენობით საფინანსო სახსრები, რომ დაბანდონ და უზრუნველყონ წარმოების მოთხოვნები ინვესტიციებში (წილებით ან აქციების შესყიდვის გზით). რაც შეაფერხებს თანამედროვე ტექნოლოგიების იმპორტს და წარმოების სათანადო კონკურენტუნარიანობის მიღწევას. ამ პროცესში საჭიროა საბანკო კაპიტალის დახმარება.

2. დაბანდობათა ფართო დივერსიფიკაცია გამოიწვევს სირთულეებს სტრუქტურულ განვითარებაში, ზოგიერთ დარგში მოხდება საქონლის გადამეტწარმოება (ამის გამო ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ხორციელდება ტრადიციულ დარგებში ინვესტიციური აქტიურობის შეკავება). ამიტომ საჭიროა სტრუქტურული ცვლილებების დაკვირვება და რეგულირება სახელმწიფო ორგანოების მიერ, რაც უფრო ადვილია საბანკო ორიენტირებული საფინანსო სისტემის მოქმედების პირობებში. მაგალითად, იაპონიაში ინვესტიციური აქტიურობა ამჟამადაც მკაცრად რეგულირდება [2, გვ. 138; 7, გვ. 100, 101]; საფონდო ბიზნესს დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი და ახლაც მისი საქმიანობა მკაცრად რეგულმენტირდება სახელმწიფოს მიერ, მნიშვნელოვანი შეზღუდვებია უცხოური ინვესტიციების შეღწევის მიმართ, შეზღუდულია უცხოელების მიერ ფასიანი ქაღალდის შეძენის შესაძლებლობები [8, გვ. 73].

3. ამჟამად არაა მიზანშეწონილი ინსტიტუციური ინვესტიციების ფართო ქსელის განვითარება, რადგანაც იწვევს წარმოებაში დაბანდობათა დაქსაქსლობას, დიდი რაოდენობით "მეორადი" ფასიანი ქაღალდების წარმოშობას, საფინანსო საშუაშედილო ქსელის უსაფუძვლო ზრდას და ფასიან ქაღალდებზე დარიცხული მოგების საშუალო ოდენობის შემცირებას. იზრდება მოგების ის წილი, რაც მოდის მოხმარებაზე და მცირდება ინვესტიციების წილი. ფართოდ გავრცელდა მტრული შთანთქმები [1, გვ. 71], რაც აიძულებს მთავრობებს დააწესონ ახალი შეზღუდვები ინსტიტუციური ინვესტიციების საქმიანობაზე.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ შემოღებულიყო საბანკო ორიენტირებული საფინანსო სისტემა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კომერციული ბანკების განვითარებას, დაადგინოს საინვესტიციო საქმიანობის წარმოების წესები, რაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვააზარდ ხდება. მაგალითად, გერმანიაში, არსებობს რამდენიმე მსხვილი უნივერსალური კომერციული ბანკი და მხოლოდ მათ აქვთ საინვესტიციო ოპერაციების წარმოების უფლება (ივლისსხება ბანკების მიერ ინვესტიციების განხორციელება). იაპონიაში მოკლევადიანი დაფინანსების ბანკები ვალდებულნი არიან იყიდონ გრძელვადიანი დაფინანსების ბანკების ობლიგაციები, რათა გათანაბრდეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ბანკების მომგებიანობა, საფრანგეთში 80-იან წლებში კანონით დგინდებოდა ბანკის პორტფელის საშუალოვადიანი თამასუქების მინიმალური ნორმა [9, გვ.6].

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში რამდენიმე მსხვილი უნივერსალური (რომლებიც ახორციელებენ როგორც საინვესტიციო, ასევე კომერციულ საქმიანობას) ბანკის დაარსება, დანარჩენი კომერციული ბანკები კი იხელმძღვანელებდნენ იაპონიაში ან საფრანგეთში გამოცდილი პრინციპით. ამით მიღწეული იქნებოდა კომერციული ბანკების საქმიანობის გადარეორგანიზაცია უმეტესად არამწარმოებულ-

რი კომერციული ოპერაციების დაფინანსებიდან წარმოებრივი სფეროს დაფინანსებაზე, ახალი მშენებლობისა და მრეწველობის ინვესტირებაზე. ინსტიტუციური ინვესტირებასა და პოლიდენგებს ამ პირობებში არ ექნება არსებითი მნიშვნელობა, საპენსიო ფონდებისა და სხვა სოციალური საპროგრამების მომსახურებაზე მიმართული ფონდების გარდა.

სამრეწველო პოლიტიკის რეალიზაციის ინტერესები მოითხოვენ საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებას, რისთვისაც საჭიროა საფონდო ბირჟის ფუნქციონირების წესებისა და ბირჟის გარეშე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის (შუამავლების მეშვეობით ან პირდაპირ) წესების განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძირითად საფონდო ფასეულობათა მეორად ბაზართან (ამასთანავე ბირჟები გამოიყენება ფასიანი ქაღალდების განთავსებისთვისაც), ოპერაციები ამ ბაზარზე ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ინვესტიციურ აქტიურობაზე.

საფონდო ბირჟის შემოღებისას საჭიროა გადაწყვეტილ იქნეს პრინციპული საკითხები, დაკავშირებული საფონდო ბირჟის ტიპის არჩევასთან: ჯერ ერთი, უნდა განისაზღვროს ბირჟის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის დონე (ძლიერი - იაბონია, სამხრეთ კორეა, სადაც სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს ოპერაციებს, ან სუსტი - აშშ); მეორე, განისაზღვროს საბირჟო ოპერაციებში მონაწილე სუბიექტები: აშშ-ში, იაბონიაში და კანადაში აკრძალულია საბირჟო ოპერაციებში კომერციული ბანკების მონაწილეობა, მონაწილეობენ სპეციალიზებული საბირჟო (საბროკერო ან საინვესტიციო-საბანკო) ფირმები, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბირჟებზე დომინირებენ უნივერსალური კომერციული ბანკები [10, გვ. 27; 11, გვ. 92, 93].

ამიტომ, საფონდო ოპერაციების წარმოების მოსაწყისრიგებლად ერთმნიშვნელოვნად უნდა განისაზღვროს ამ ბაზარზე მოქმედი წესები და შესაბამისი ორგანიზაციების შექმნისა და მონაწილეობის პრინციპები. ამის გარდა საჭიროა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შუამავლობის წესების განსაზღვრა და სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესის ზედამხედველობის პრინციპების დაწესება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია ამ საქმიანობის (ფასიანი ქაღალდების და საფონდო ფასეულობების ბაზარი) მკაცრი კონტროლი და რეგლამენტირება. ეს ეტაპი ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ გაიარა, ხოლო ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და უსაფრთხოების განმტკიცებასთან ერთად შეიძლება რეგულირების სიმკაცრის თანდათანობით შემცირება.

სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ახალი ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და მსოფლიო ბაზარზე კონკურირება. ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავება და უახლესი ტექნოლოგიები აყენებენ სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს სხვადასხვა მართვისა და ტექნოლოგიური სპეციალობების მუშაეთა სწავლების მიმართ, რომელთა ზედრითი წილი წარმოებაში მნიშვნელოვნად მატულობს. მაგრამ ბევრ დარგში საქართველოს არ გააჩნია საჭირო ბაზა და შეუძლებელია ახალი ტექნოლოგიების ათვისება მოწინავე ქვეყნებთან თანამშრომლობის გარეშე. ამისათვის საჭიროა მოწინავე უცხოურ ფირმებთან, განსაკუთრებით ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან (რომლებიც არიან ახალი ტექნოლოგიების ძირითადი მატარებლები) სამეწარმეო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ფართო კონტაქტების დამყარება.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია სწორი კომპრომისის განსაზღვრა ტრანსნაციონალურ კომპანიების ინტეგრაციულ სტრატეგიასა და ეროვნული ინტერესების დაცვის სტრატეგიებს შორის, რამაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო რეგულირება. ქვეყანაში ტრანსნაციონალური კომპანიების შეღწევის, წახალისების ან შეკავების მიზნით შეიძლება შეიქმნას სპეციალური სამსახური. კერძოდ, ეს სამსახური მიაწვდის

ინფორმაციას შესაბამის სახელმწიფო სამსახურებს და ეროვნულ მეწარმეებს ქვეყნის ეკონომიკაში ამ თუ იმ ტრანსეროვნული კორპორაციის მოწვევის მიზანშეწონილობის შესახებ.

ამ საკითხის (ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის) მეორე მხარეა საწარმოების მოდერნიზაციის, შეკვეცისა და გადაპროფილების პროცესები, რომლებიც აგრეთვე მოითხოვენ ინსტიტუციურ ორგანიზებას და შესაბამისი ფონდების შექმნას. ამისათვის მოწინავე ქვეყნების მაგალითად შეიძლება შეიქმნას "რაციონალიზაციის კარტელები", "სადარკისიო კარტელები", რომლებიც განახორციელებენ შეკვეცის, გადაპროფილების და მოდერნიზაციის პროექტებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, მასში გათვალისწინებული სტიმულებისა და შედავათების გამოყენებით.

სამრეწველო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მცირე მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების კოორდინირებული და ურთოვრებული შესაბამისი განვითარების მოთხოვნები, მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისათვის საფინანსო ბაზის ჩამოყალიბება (მცირე ბიზნესის საინვესტიციო ფონდი, შესაბამისი ბანკი), მცირე ბიზნესის მომსახურებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა.

მაგალითად, რეგიონებში საჭიროა "მცირე მეწარმეობის ცენტრების" შექმნა, რომლებშიც გადაწყდება მცირე საწარმოების ფორმირებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები: შექმნის იურიდიული გავორძევა; კრედიტის მიღება სასტარტო კაპიტალის შექმნისათვის; იურიდიული, მენეჯერული, მარკეტინგული და სხვა კონსულტაციები; მცირე მეწარმეობის იურიდიული ინტერესების დაცვა და რაც დღეისათვის ყველაზე აქტუალურია, მცირე მეწარმეობისათვის დახმარების გაწევა საქმიანობის მიმართულების განსაზღვრაში, კადრების შერჩევა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში.

2. სამრეწველო პოლიტიკის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

სამრეწველო პოლიტიკის რეალიზება შესაბამისი რეგულატორების გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სრული მოცულობით (ბაკეტით) იქნება მიღებული კანონები, რომლებიც არეგულირებენ მეწარმეობას, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და წარმოების განვითარების ყველა მნიშვნელოვან მხარეს. "მეწარმეობა შესახებ" კანონის გარდა ესაა: კანონები, რომლებიც დაარეგულირებენ საფონდო ფასეულობათა მოძრაობას, შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტების, ე. ი. საინვესტიციო ბანკების, ინსტიტუციური ინვესტორების, საფონდო ბირჟების (და საფონდო ბირჟების გარეშე საფონდო ფასეულობებისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის სხვა შუამავლების) საქმიანობას; კანონი მიმდინარეობით საკუთრების შესახებ, რომლის გარეშე შეუძლებელია ფასიანი ქაღალდებით სრულფასოვანი ოპერაციების წარმოება; კანონი საწარმოთა გაერთიანებების შესახებ; კანონები, რომლებიც დაარეგულირებენ საქონელგამტარი ქსელის ორგანიზაციას და ფუნქციონირებას; კანონები სახელმწიფო და ადგილობრივი საწარმოების შესახებ; კანონები, რომლებიც დაარეგულირებენ საინვესტიციო საქმიანობას (მათ შორის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ); კანონი მცირე ბიზნესის შესახებ; კანონი დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურზე და სხვა.

ამას გარდა საჭიროა განსაკუთრებული კანონების მიღება, რომელთა მოქმედება მიმართული იქნება კონკრეტული სამრეწველო პოლიტიკის რეალიზებაზე. განვითარებულ ქვეყნებში ამ მიზნით მოქმედებს კანონების საკმაოდ ვრცელი ნუსხა. მაგალითად, იაპონიაში 1978 წელს შემოიღეს კანონი "მრეწველობის ზოგიერთი დარგის სტაბილიზაციისათვის სპეციალური ზომების შესახებ", რომელიც 1983 წელს შეიცვალა კანონით "მრეწველობის ზოგიერთ დარგში სტრუქტურის

სრულყოფის სპეციალური ზომების შესახებ" [7, გვ. 100; 12, გვ. 23]. ამ კანონებით გათვალისწინებულია სუბსიდიები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად და იაფი საბანკო კრედიტი საწარმოების მოდერნიზებისათვის, განსაზღვრულია საწარმოების შეკვეცის, მოდერნიზების, გადაპროფილების, გაყიდვისა და ა. შ. ორგანიზაციის და დაფინანსების წესები დარგებში დეპრესიული და რაციონალიზაციის კარტელების შექმნის მეშვეობით. აშშ-ში 1981 წელს მიიღეს კანონი "ეკონომიკური გაჯანსაღების შესახებ", რომელშიც განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებზე კომპანიების ხარჯების წახალისების, სამეცნიერო-საწარმოო პროცესების სარისკო (ვენჩურული) დაფინანსებისა და სხვა ანალოგიური წესები [13, გვ. 36]. იქვე 1980 წელს მიღებულ იქნა კანონი "ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ", რომელშიც განსაზღვრულია ზომები სამრეწველო ინოვაციების სტიმულირების მიზართ [14, გვ.95]. სამხრეთ კორეაში 70-იან წლებში სპეციალური კანონებით გამოიყო 7 პირველრიგოვანი ყურადღების დარგი - მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა, სადებიჯო მრეწველობა, შავი მეტალურგია, ფერადი მეტალურგია და გემთსაშენი მრეწველობა, რომლებიც სარგებლობდნენ საგადასახადო და სხვა შეღავათებით (ამ შეღავათებში განსაკუთრებულ შემთხვევებში შედიოდა "არჩეული ექსპორტიორებისათვის სახელმწიფოს მიერ ზარალის პირდაპირი კომპენსირებაც") [15, გვ.99, 100]. შედეგში 80-იან წლებში მიღებული იყო რიგი კანონებისა, რომლებიც სტიმულირებენ მეურნე სუბიექტების ინტერესს მეურნეობის მოდერნიზებაზე, საექსპორტო პროდუქციის გამოშვებაზე და ა. შ., მათ შორის კანონები შესატანების შესახებ, კაპიტალურ დაბანდებთა საერთო რეზერვზე, მოდერნიზების, განსაკუთრებულ ფონდზე, ექსპორტის დაკრედიტებაში დახმარების შესახებ [16, გვ. 64, 66]. ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში საქმიანობის წესებს და სხვა.

მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საქართველოშიც მიღებულ იქნეს მსგავსი კანონების პაკეტი, რომელშიც სამრეწველო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, დადგენილი იქნება მიზანმიმართული სტრუქტურული გარდაქმნის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მიზანშეწონილი ექსპორტისა და იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების წახალისების ზომები, განსაზღვრული იქნება პრიორიტეტული დარგები, არაფექტური საწარმოების შეკავების, შეკვეცის, მოდერნიზებისა და გადაპროფილების ორგანიზაციის, დაფინანსებისა და რეგულირების წესები.

სამრეწველო პოლიტიკის რეალიზების მიზნით საჭიროა აგრეთვე ზოგიერთი სხვა საბაზრო და სახელმწიფო ინსტიტუტების შემოღება, საკანონმდებლო აქტების მიღება, სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება.

ზოგიერთ პროდუქციაზე მიზანშეწონილი იქნებოდა წარმოებებს მიეღო ფასის ზედა ზღვარის დაწესების უფლება (კონკრეტული პერიოდისათვის), რომლის გადამეტების უფლება არ ექნებოდა სავაჭრო შუამავლებს (საბითუმო და საცალო ვაჭრებს). ასეთი წესის შემოღება ძალიან აქტუალურია ამჟამად, რადგანაც მრავალი სავაჭრო შუამავალი გაუმართლებლად ზრდის პროდუქციის ფასს. ამის გამო ეროვნულ მწარმოებელს უჭირს პროდუქციის რეალიზაცია და იგი განიცდის ზარალს. ამით ფერხდება პროდუქციის წარმოება საკმარის რაოდენობით. ასეთი წესის მოქმედება შესაძლებელს გახდის რიგ დარგში ეროვნული პროდუქციის წარმოებას იმ მოცულობით, რაც საჭიროა მომხმარებლისათვის და გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას. აღკვეთილი იქნება პრინციპი: "გაყიდო ცოტა და აიღო დიდი მოგება" პრინციპის "აწარმოო ბევრი და აიღო დიდი მოგება" სასარგებლოდ. ასეთი წესი არსაზომბდა ინგლისში (1964 წლამდე), კანადასა და შვედეთში, ამასთან სავაჭრო შუამავლებს ჰქონდათ მწარმოებლის მიერ განსაზღვრული ფასის მხოლოდ შემცირების უფლება. ამჟამად რიგ ქვეყანაში მოხდა ამ წესის ევოლუცია იქ მოქმედებენ "ფასების კომიტეტები", სადაც მეწარმეებისა და სავაჭრო

შუამავლების კვალიფიკირებული წარმომადგენლები ადგენენ კონკრეტული პროდუქციის ფასს განსაზღვრული პერიოდისათვის (ერთი დღე ან ერთი კვირა). აშშ-ში ასეთი კომიტეტების გადაწყვეტილება ძალაშია გარკვეული ორგანიზაციულად გაფორმებული ბაზრის ფარგლებში, ხოლო მცირე ქვეყნებში (მაგ., დანიაში) - მთელი ქვეყნის ფარგლებში [17, გვ. 108-110].

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილებები:
- საბაჟო გადასახადების დიფერენციაციების შესახებ, რათა შემოვიდეს მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, შეიზღუდოს იმ პროდუქციის შემოსვლა, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი ანალოგიური პროდუქციის წარმოებას, ან, პირიქით, მოხდეს განსაზღვრული პროდუქციის იმპორტის სტიმულირება, რომელიც ქვეყანაში არ იწარმოება საკმარისი რაოდენობით, ან კონკურენტუნარია დაბალი ხარისხის ან მაღალი ფასების გამო;
 - პროდუქციის ჯგუფების ტრილში დამატებული ღირებულების გადასახადის დიფერენციაციების შესახებ;
 - წარმოების განვითარების მიზნით სახელმწიფო და რეგიონული ფონდების და სხვა ინსტიტუტების შექმნის შესახებ (მაგ., იაპონიაში ამ მიზნით შექმნილია 9 საფინანსო კორპორაცია, ფუნქციონირებს სპეციალური ანგარიშების (38) ბიუჯეტი [6, გვ.144]);
 - ექსპორტის მართვის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანი იქნება მიზანშეწონილი ექსპორტის წახალისება, ექსპორტის ზრდის შესაძლებლობების გამოვლენა. კერძოდ ამ მიზნით მიზანშეწონილია ყოველთვის თათბირის ჩატარება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით (ასეთი პრაქტიკა მიღებულია სამხრეთ კორეაში [15, გვ. 101]. შეიძლება აგრეთვე აშშ-ის მაგალითით დაწესდეს 'კონკურენტუნარიანი პოლიტიკის საბჭო' ან 'ექსპერტთა კომიტეტი სტრატეგიული კონკურენტუნარიანი სამრეწველო და სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებისათვის' [18, გვ. 160];
 - კონკრეტულ დარგებში და წარმოებებში უცხოური ინვესტიციების დაბანდების შეზღუდვის, აკრძალვის ან წახალისების შესახებ;
 - უცხოელების მიერ საფონდო ფასეულობების შექმნის მიმართ დაწესდეს გონივრული შეზღუდვები ყველა დონეზე (საფონდო ბირჟაზე, შუამავლების მეშვეობით ან გამყიდველებთან უშუალო შეთანხმებით);
 - პროორიტეტულ დარგებში კერძო კომპანიების შერწყმის შესახებ (თუ ამას მოითხოვენ გარე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის ინტერესები);
 - წარმოებაში სახელმწიფოს მიერ გაცემული კრედიტების გამოყენების ზედამხედველობის შესახებ, რის შესაბამისად მიზანშეწონილია შეიქმნას მუდმივი კომისია, რომელიც გააკონტროლებს გაცემული კრედიტების მდგომარეობას (გაცემის მიზანშეწონილობას, ათვისების მდგომარეობას, პროცენტების გადახდას, დაბრუნების უნარიანობას).

მ. სამრეწველო პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი მოქმედება

სამრეწველო და დამიზნების პოლიტიკის მართვისათვის არსებობს ინსტრუმენტების ვრცელი ნუსხა, მათ შორის: საგადასახადო ზომები; საფინანსო-საკრედიტო ზომები; ღონისძიებები დასაქმების პოლიტიკაში (სუბსიდიები, სწავლებისა და გადამზადების პროგრამები და სხვა); ფასების რეგულირება; სახელმწიფო შესყიდვები; ინსტიტუციური ზომები შერწყმების, ტექნოლოგიების დამუშავების, მცირე ბიზნესის, დარგობრივი გარდაქმნის, ინვესტიციების სტიმულირებისა და სხვათა მიმართ; უცხოური ინვესტიციების რეგულირების ბერკეტები; საგარეო ვაჭრობის რეგულირების ბერკეტები.

სამრეწველო პოლიტიკის ინსტრუმენტების კომპლექსური გამოყენების საშუალებით ხდება სამრეწველო პოლიტიკის მიზნების რეალიზების რეგულირება. ზოგიერთი ინსტრუმენტის გამოყენების მიმართულებები სამრეწველო პოლიტიკის ცალკეული მიზნების რეალიზებისათვის ნაჩვენებია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1
 სამრეწველო პოლიტიკის მიზნების რეალიზების რეგულირება

ინსტრუმენტი	საგადასახადო ინიციატივები	საფინანსო-საკრედიტო ზომები	ინსტიტუციური ზომები
მიზნები			
შერჩეულ დარგებში კონკურენტუნარიანობის მიღწევა, ექსპორტის წახალისება	მოგების გადასახადის დაბალი განაკვეთი, დაჩქარებული ამორტიზება, საგადასახადო, საგადასახადო კრედიტი და სხვა შეღავათები	იაფი კრედიტი, სუბსიდიები, განსაკუთრებულ შემთხვევებში ექსპორტით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება, საექსპორტო კრედიტები და გარანტიები	ფონდების შექმნა ინვესტიციების სტიმულირების, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და პერსონალის სწავლების მიზნით; ექსპორტის დახმარების ორგანიზაციების შექმნა; საზღვარგარეთ; თევზების დაარსება და სხვა
იმპორტშემცველი წარმოების წახალისება	იგივე; დამატებული ღირებულების გადასახადის დიფერენცირება პროდუქციის ჭგუფების კრილში	კრედიტის განაკვეთის დაქვეითება, დოტაციები, სუბსიდიები	ფონდების და ორგანიზაციების შექმნა ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და იმპორტისათვის, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის, ერთობლივი საწარმოების შექმნა და სხვა
შეკვეცა, შეკავება	ქონებრივი გადასახადის განაკვეთის გაზრდა განსაზღვრულ საქმიანობისათვის, განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაზღვრული პერიოდით და სხვა	მკაცრი ფინანსური პრესინგი, კრედიტის შეზღუდვა გაფართოებისათვის, იაფი კრედიტის გამოყოფა მხოლოდ შეკვეცის ან გადაპროფილების მიზნით	დებრესიული კარტელების შექმნა, ფონდების შექმნა პერსონალის გადამზადებისათვის და სოციალური უზრუნველყოფისათვის სწავლების დროს
მოდერნიზაცია, გადაპროფილება	შეღავათები, დაჩქარებული ამორტიზება, საგადასახადო კრედიტი	იაფი კრედიტი, დოტაციები, სუბსიდიები	რაციონალიზაციის კარტელების შექმნა, ფონდების შექმნა წარმოების რაციონალიზაციისა და პერსონალის სწავლებისათვის
ეროვნული მწარმოების დაცვა	დამატებული ღირებულების გადასახადის დიფერენცირება პროდუქციის ჭგუფების მიხედვით და სხვა	განსაზღვრულ შემთხვევებში იაფი კრედიტი, სუბსიდიები (განსაკუთრებით იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოებისათვის) და სხვა	განსაზღვრულ დარგებში უცხოური ფირმებისათვის საექსპორტო კვოტების დადგენა და სხვა ზომების მიღება შეღწევის შეკავებისათვის; ეროვნული კაპიტალის ექსპორტისათვის ხელის შეწყობა და სხვა

ინსტრუმენტები	საგადასახადო ინიციატივები	საფინანსო-საკრედიტო ზომები	ინსტიტუციური ზომები
მიზნები			
უცხოური კაპიტალის მოზიდვა	შელავათები, დაჩქარებული ამორტიზაცია, ტენდებში ან ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული პერიოდით მოგების გადასახადის მოხსნა ან შემცირება	განსაკუთრებულ შემთხვევებში საბანკო კრედიტის განაკვეთის დაბალი დონე (უახლესი ტექნოლოგიების მოზიდვისას)	ფონდის შექმნა მოგების რეპატრიაციის უზრუნველსაყოფად; სადაზღვევო უზრუნველყოფა; დახმარება წარმოებულ პროდუქციის ექსპორტში და სხვა

საგადასახადო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს: მიზანმიმართული სტრუქტურული გარდაქმნის პროცესის სტიმულირება; საწარმოო პოტენციალის და საფინანსო რესურსების გადნაწილება მობილური, ეფექტურად მომუშავე საწარმოების სასარგებლოდ; ექსპორტული საწარმოო პოტენციალის შექმნის სტიმულირება; მიზანშეწონილი იმპორტშემცველი წარმოების სტიმულირება; საქმიანი და საინვესტიციო აქტიურობა პრიორიტეტულ დარგებში; ხელსაყრელი პირობების შექმნა მიზანშეწონილი სამეწარმეო საქმიანობისათვის, მათ შორის უცხოელ ინვესტორთათვის.

გადასახადმა მოგებაზე უნდა იმუშაოს როგორც სტრუქტურის შემქმნელმა ფაქტორმა, რაც მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. ეს მიღწეული იქნება გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთის შემოღებით, დაჩქარებული ამორტიზების მეთოდების გამოყენებით, საგადასახადო შეღავათების (მათ შორის საგადასახადო კრედიტის) დაწესებით. სავეგო ეკონომიკაში საგადასახადო შეღავათების ადრესაცია ხდებოდა უმეტესად საწარმოების კრილში, მაგრამ საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს შეღავათების დადგენას დარგების მიხედვით (ხშირად ტერიტორიების კრილში), რაც იწვევს პრიორიტეტული წარმოებების წახალისების შესაძლებლობას. მაგ., ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ითვალისწინებენ რა მსოფლიო ბაზრის გაჭერებულობას ტრადიციული დარგების პროდუქციით, ახორციელებენ ამ დარგებში ზედმეტი საინვესტიციო აქტიურობის შეკავების პოლიტიკას. ამ დარგების საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებს აძლევენ მხოლოდ წარმოების შეკვეცის ან გადაროფილების მიზნით. გამოიყენება მკაცრი საფინანსო პრესინგი - ე. ი. საბანკო კრედიტის შეზღუდვა წარმოების გაფართოებისათვის. იმისათვის, რომ ადგილი ჰქონდეს საბაზრო კონკურენციას, ამ დარგების პროდუქციაზე მცირდება (ან საერთოდ იხსნება) იმპორტული საბაჟო ტარიფები (იმ ქვეყნებში, სადაც პირიქით, დგინდებოდა პროტექციონისტული ტარიფები, ეს იწვევდა ამ დარგების უფრო მნიშვნელოვან ჩამორჩენას). წარმოების გაფართოების მიზნით შეღავათებს აძლევენ მხოლოდ ახალ პრიორიტეტულ დარგებს, ხოლო წარმოების მოდერნიზებისათვის ხშირად გამოიყენება იაფი საბანკო კრედიტ.

საბანკო ეკონომიკაში საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ ძირითად არაპირდაპირ მეთოდს. სასესხო პროცენტის განაკვეთის რეგულირების საფუძველზე სახელმწიფო ახდენს გავლენას კაპიტალის განაწილებაზე და გადნაწილებაზე (დარგებისა და ტერიტორიების კრილში, ფულად და რეალურ საწარმოო კაპიტალებს შორის და ა. შ.), ინფლაციის დონეზე, კაპიტალისა და საქონლის ექსპორტზე, ფასებისა და ხელფასების დინამიკაზე.

ამჟამად გაიქცა ძირითადად მოკლევადიანი კრედიტები. უმეტესად სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციებზე. მაგრამ მეურნეობის გამოცოცხლებისათვის საჭიროა სა-

შუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემა საწარმოო სფეროში, რომელთა გაცემა უფრო საარისკო და ნაკლებად მომგებიანია. ამიტომ საჭიროა ზომების მიღება მათი ეფექტიანობის ამაღლებისა და რისკის დონის შემცირებისათვის. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გარდა მიზანშეწონილია სარეზერვო და სადაზღვევო ფონდების შექმნა ეროვნული და კომერციული ბანკების მონაწილეობით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ზარალის კომპენსაცია მომხდარი ეკონომიკურად მიზანშეწონილი პროექტების დაფინანსების შემთხვევაში და აგრეთვე, კომერციულ ბანკებში ანაბრების უსაფრთხოების გარანტია. სამრეწველო პოლიტიკის რეალიზების ინტერესები მოითხოვენ აგრეთვე სესხის პროცენტის განაკვეთის მიმართ დიფერენცირებული მიდგომის შემუშავებას იმისათვის, რომ წახალისდეს მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული დარგების გამოცოცხლება და განვითარება. არამწარმოებლური დარგებისათვის საჭიროა კრედიტების ზრდის ნორმის დადგენა.

განვითარებულ ქვეყნებში... სახელმწიფო... შეკვეთების... განაწილებისას ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო საკონტრაქტო სისტემა. შეკვეთების - კონტრაქტების განაწილების მეშვეობით შეიძლება დარგობრივი და ტერიტორიული პროპორციების რეგულირება პრიორიტეტული წარმოებების განვითარების მიზნით.

სამრეწველო პოლიტიკის რეალიზების ინტერესებში ხშირად გამოიყენება დოტაციები და სუბსიდიები, უპირველეს ყოვლისა, წარმოების რაციონალიზებისა და გადაპროფილებისათვის, აგრეთვე საექსპორტო წარმოების წახალისებისა და საექსპორტო პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე შეღწევისა და დამყარების მიზნით.

სამრეწველო პოლიტიკის რეალიზების მიზნით გამოიყენება აგრეთვე ფასების რეგულირების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. მხედველობაში უნდა გვექონდეს, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც ფასების არა ნაკლებ 10% ექვემდებარება რეგულირებას. ეკონომიკური ვითარების გაუარესების შემთხვევაში პირდაპირი რეგულირება ტარდება უფრო ინტენსიურად. ამას გარდა არსებობს ფასების რეგულირების მრავალი არაპირდაპირი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც სახელმწიფო კანონმდებლობით, ასევე საბაზრო მექანიზმით და საჭიან წრებში დადებული კონანხმებებით და ქვეყნის ნორმებით.

სამრეწველო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია აგრეთვე ეროვნული და უცხოური ინვესტიციებისა და საექსპორტო -საიმპორტო ოპერაციების რეგულირების ბერკეტები.

ინვესტიციური აქტიურობის სტიმულირება შესაძლებელი უნდა იყოს დასაბუთებულ პროტექციონიზმით კარგად მოქმედი საწარმოებისა და ეროვნული მეწარმეების მიმართ (ანალოგიური საჭონის იმპორტზე ტარიფების გაზრდა, საჭირო ტექნოლოგიებზე - შემცირება, ან მოხსნა, იმპორტული კვანძების დადგენა და სხვა). სახელმწიფო რეგულირების გარდა ამ პროცესის მართვაში მნიშვნელოვანია საინვესტიციო ბანკების როლი, რომლებიც განიხილვენ საინვესტიციო პროექტების მიზანშეწონილობას, განახორციელებენ პროექტების შეღავათიან დაჯარვებებს.

უცხოური ინვესტიციების მიმართ გამომუშავებულ სტრატეგიაში სწორად უნდა იყოს განსაზღვრული ეროვნული მეწარმეობის მიმართ პროტექციონიზმისა და უცხოური ინვესტიციების სტიმულირების შეფასება, შესაბამისობა და ზღვრები, ასახული იყოს სასურველი უცხოური ინვესტიციების სტიმულირებისა და არასასურველის შეკავების ტაქტიკა და მეთოდები.

ამ პროცესების რეგულირების ბერკეტები შემდეგია:

- უცხოური ინვესტიციების რეგულირებაში: საინვესტიციო წინადადებების შეფასება; შეზღუდვები განსაზღვრულ დარგებში (ან სექტორებში) უცხოური კაპიტალის შეღწევის მიმართ; ეროვნულ საწარმოებში უცხოური კაპიტალის წილის შეზღუდვა; საექსპორტო კვანძების განსაზღვრა; მოთხოვნები ტექნოლოგიე-

ბის დონის მიმართ; ეკოლოგიური მოთხოვნები; უცხოური ფირმების საგადასახადო რეგულირება; უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები;

- საიმპორტო პოლიტიკაში: ტარიფები; არასატარიფო რეგულირება (იმპორტული კვოტები, ლიცენზიები, საბაჟო წესები სუბსიდიები იმპორტმეცვლაზე, შეზღუდვები სახელმწიფო კონტრაქტების მიცემაში, მანიპულირება სავალუტო კურსით);

- საექსპორტო პოლიტიკაში: ექსპორტირებისათვის საფინანსო და საგადასახადო შეღავათები; საქსპორტო კრედიტები და გარანტიები; საქსპორტო მიზნების განსაზღვრა; საზღვარგარეთ ორგანიზაციების შექმნა ექსპორტის დამხმარებისათვის; თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა; სავალუტო რეგულირება.

უცხოური ინვესტიციების მიმართ შეორჩევითი სტრატეგია უნდა გატარდეს შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით:

- რეალური, ფულადი და სასესხო კაპიტალის მიმართ (პირველის სასარგებლოდ);

- რეალური კაპიტალში - მოწინავე ტექნოლოგიების შემოზიდვა;

- პრიორიტეტული საქმიანობის სფეროებსა და იმ სფეროებს შორის, რომლებსაც შეაკვება სჭირდება;

- უცხოური ინვესტიციების შეკავება კარგად მომუშავე ეროვნული მეწარმეების დასაცავად (განსაკუთრებით ახალ პერსპექტიულ დარგებში) და იმ სექტორებში, სადაც უცხოური ინვესტიციები საერთოდ არაა საჭირო (მაგ., მეღვინეობა, ბუნებრივი მინერალური წყლების წარმოება);

- უცხოური ინვესტიციების წახალისება, რომ მოხდეს ზეწოლა ცონკურენციის სახით) ცუდად მომუშავე მეწარმეებზე (უზარისხოდ, მონოპოლისტებზე და ა. შ.) ასეთივე პოლიტიკა უნდა ტარდებოდეს საქონლის იმპორტის მიმართ;

- უცხოური ინვესტიციების წახალისება ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი და ქრონიკულად დაუტვირთავი დარგების ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვის, ნედლეულით მომარაგებისა და გასაღების ბაზრების მოპოვებისათვის (ან საწარმოების რეკონსტრუქციისა ან გადაპროფილების მიზნით).

საჭიროა სპეციალური ფონდის შექმნა, რომელიც იმუშავებს საქართველოს ეკონომიკის სასურველ დარგებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ამ ფონდის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია უნდა იყოს უცხოური ვალუტის აკუმულირება მოგების რეპატრიაციის გარანტირებისათვის, ამასთანავე საჭიროა მოგების რეინვესტიციის წახალისება მხოლოდ იმ დარგებში, სადაც ეს მიზანშეწონილია.

საექსპორტო-საიმპორტო გარევაჭრობის პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს მრეწველობაში ინვესტიციური აქტიურობის დონეზე და მიმართულებებზე. ეს პოლიტიკა უნდა იმსახურობდეს მიზანმიმართული სტრუქტურული გარდაქმნის ამოცანების რეალიზებას. იმპორტულმა ტარიფებმა უნდა ასტიმულირონ ინვესტიციები ყველაზე პრიორიტეტულ დარგებში (ეს ეხება როგორც ტექნოლოგიების, ასევე საწარმოო და სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის იმპორტს). იმპორტული ტარიფების განსაზღვრისას საჭიროა სიფრთხილე. მაგალითად, სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციაზე დაბალ იმპორტულ ტარიფებს შეუძლიათ საერთოდ გაანადგურონ ადგილობრივი წარმოება, ან პირიქით, მკვეთრად გაზარდონ ეროვნულ მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობა. განვითარებულ ქვეყნებში საკომპენსაციო, გატანის, ანტიდემპინგური, სეზონური და სხვა ბაჟები ხელს უწყობენ ეკონომიკის დაბალანსებულ ფუნქციონირებას, მიზანმიმართული სამრეწველო პოლიტიკის გატარებას.

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობაში ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა სტრუქტურული გარდაქმნის ისეთი სტრატეგიის რეალიზება, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების აქტიურ გენერირებაზე, მსხვილი საბანკო სტრუქტურების, საკრედიტო პოლიტიკისა და ეროვნულ მიზნებთან დამოკიდებულებაში განსაზღვრული

კაპიტალის ფასის რეგულირების გამოყენებით. ამისათვის საჭირო საწყისი სახსრები შეიძლება აკუმულირებული იყოს ერთობლივი საინვესტიციო ბანკების დაარსებითა და აგრეთვე იმ შემოსავლების ხარჯზე, რომელიც შემოვა მეურნეობის ზოგიერთი პერსპექტიული მიმართულებებიდან (სატრანზიტო დერეფნის გამოყენება, ტურიზმი და სხვა).

ლიტერატურა

1. Хруцкий В. Реферат статьи Питера Друкера "Труд и управление в современном мире" и послесловие к нему, Российский экономический журнал, №5, 1993г.
2. Кузин Д. Промышленная политика развитых стран: цели, инструменты, оценки, Вопросы экономики, №9, 1993г.
3. Юнь М. Структурная перестройка экономики, Экономист, №11, 1993.
4. Шмелева Н., Радыгин А. Приватизация и финансовые системы в России: проблемы взаимодействия, Вопросы экономики, №9, 1993г.
5. Дынкевич А. К осмыслению опыта экономического развития Японии, Российский экономический журнал, №10, 1992г.
6. Сенчагов В. О японском опыте управления, Вопросы экономики, №5, 1990г.
7. Хруцкий В. Рыночные системы и варианты структурной перестройки в промышленности, Российский экономический журнал, №3, 1992г.
8. Стрижевская Ю. Транснациональные корпорации и промышленная политика, Российский экономический журнал, №6, 1993г.
9. Маневич В., Перламутров В. Об антиинфляционной политике, Финансы, №8, 1993г.
10. Мусатов В. Фондовая биржа, Вопросы экономики, №7, 1991г.
11. Гринспэн Алан. Коммерческие банки и центральный банк в рыночной экономике, Вопросы экономики, №12, 1991г.
12. Горденко Г. Условия структурного и технического обновления, Экономист, №8, 1993г.
13. Ионов М. Регулирование инвестиционной и инновационной деятельности, Экономист, №5, 1992г.
14. Мурзов Е., Глебанова А. Инновационная политика. Российский экономический журнал, №7, 1992г.
15. Жуков С. Роль государства в сотворении "южнокорейского чуда", Российский экономический журнал, №5, 1993г.
16. Рогова О., Монсеева Л., Логвина А. Налоговая политика Швеции: целевая направленность и механизм, Вопросы экономики, №10, 1991г.
17. Маневич В. О закономерностях становления рынка, Вопросы экономики, №3, 1993г.
18. Зейц К. Какой должна быть государственная политика в сфере высоких технологий, Вопросы экономики, №9, 1993г.

The Industrial Policy: Institutional Security and Economic Mechanism

V. Burduli

P.Gugushvili Institute of Economics
of Georgian Academy of Sciences

Summary. The questions of industrial policy institutional security and regulation have been examined in the article. One of the purposes of this article is to show that in the contemporary conditions of Georgia the regulation of industrial policy must be founded on the banking oriented financial system with the generation of investment by the large investment banks where the price of capital will be regulated with fiscal, monetary and other instruments. The ways of creation of the indispensable market institutes, adoption of the corresponding laws and legislative statements, realization of other measures in the system of state and market control are proposed and substantiated. The system of main aims of industrial policy and the system of instruments, ensuring the control by realization of these aims, have also been given in the article. The concrete characteristics and the directions of regulating instruments' action, expedient in the conditions of Georgia at present and in the nearest future, have been proposed.

Институциональное обеспечение и экономический механизм промышленной политики

Бурдули В.

Институт экономики им. П.Гугушвили
Академии Наук Грузии

